



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135242741

თარიღი:30/09/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზაურ ჩართოლანის და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მაია ხორგუანის მივლინების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მივლინებულ იქნან, მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი მოადგილე ზაურ ჩართოლანი და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაია ხორგუანი მესტიის მუნიციპალიტეტში - დაბა მესტიასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ობიექტების მონიტორინგის მიზნით ამა წლის 30 სექტემბერს.
2. განისაზღვროს, ავტომობილ „LEXUS“-ზე, **სახ. ნომრით: SK-077-SS** მესტია-მულახი-მესტია მგზავრობისთვის საჭირო ბენზინი 40 ლიტრით.
3. დაევალოს მესტიის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.
4. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურს.
5. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

